

საერთო კრების მოწვევის ინიცირება ხდება ამ მუხლის მე-4, მე-9 და მე-11 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით.

აღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 მარტის N7 დადგენილების „დუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის „ზ¹“ ქვეპუნქტის, „დუშეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების, დაწესებულებების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 მარტის N6 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწვეულ იქნეს დასახლების საერთო კრება დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ანანურში;
2. დამტკიცდეს დასახლების საერთო კრების დღის წესრიგი შემდეგი შინაარსით:
 - ა) მოქალაქე ვლადიმერ დანელიძის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის „ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამასთან“ შესაბამისობის დადგენა;
3. ინიციატივა სოფელ ანანურის დასახლების საერთო კრების მოწვევის თაობაზე რეგისტრირებული იქნეს კანონით დადგენილი წესით;
4. საერთო კრების ჩატარების დროდ განისაზღვროს 12 ივნისი, თარიღად 16:00 საათი
5. დასახლების საერთო კრება ჩატარდეს სოფელ ანანურში, ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში;
6. ინფორმაცია საერთო კრების ჩატარების თაობაზე გამოქვეყნდეს პროაქტიულად დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე განთავსდეს ბეჭდური ფორმით დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე და ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე;
7. საერთო კრების ორგანიზება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში გენადი გულბათაშვილმა;
8. ინფორმაციის ელექტრონული ფორმით პროაქტიული გამოქვეყნება და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში საინფორმაციო დაფაზე განთავსება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულმა სამსახურმა;
9. ინფორმაციის ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფაზე განთავსება უზრუნველყოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა ანანურის ადმინისტრაციულ ერთეულში გენადი გულბათაშვილმა;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში მცხეთის რაიონული სასამართლოს დუშეთის მაგისტრატ სასამართლოში (მის.: ქ. დუშეთი, კოსტავას ქ. N38).

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

3 

ვაჟა ჩოხელი



დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა GAMGEOBA OF DUSHETI MUNICIPALITY



KA990111367418217

№ 1077/ს

22 / მაისი / 2017 წ.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურის დასახლების საერთო კრების
მოწვევის შესახებ

2017 წლის 27 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ დანელიძემ და მოითხოვა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურში დასახლების საერთო კრების მოწვევა, რათა დასახლების საერთო კრებამ განიხილოს მის მიერ წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანანურში მდებარე 1200 კვ/მ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N318 დადგენილებით დამტკიცებული "ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის მიზნით, დაინტერესებული პირი დასახლების საერთო კრების მოწვევის თაობაზე განცხადებით მიმართავს შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს და წარუდგენს სათანადო დოკუმენტაციას. ამავე წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის გამგებელი ამოწმებს დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დასახლების საერთო კრების მოწვევის ინიცირებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა წარმოდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია. განმცხადებელს ეცნობა, რომ განცხადებაზე არ იყო დართული ზემოაღნიშნული დადგენილების მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დოკუმენტი და მიეცა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. განმცხადებლის მიერ ხარვეზი გამოსწორდა დადგენილ ვადაში და დღეისათვის წარმოდგენილი განცხადება სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 ივლისის N318 დადგენილებით დამტკიცებული "ზოგიერთ დასახლებაში ფიზიკურ პირთა ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 85⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საერთო კრების მოწვევის ინიცირების უფლება აქვს მუნიციპალიტეტის გამგებელს. ამავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ